

სასაუბრო ფურცელი

საერთაშორისო დღი



ავსტრიალების ციხე პრემიული (გალიციაში), რომელსაც უამრავი აქვს
კუსების ჯარის ალყა.

გაწყვეტილი სიმი

ღრამა ოთხ მოქმედებად.

მომხმედნი პირნი:

- ივანე, მდიდარი მემამულე.
- მარინე, ამისი ცოლი.
- ვახტანგი, ამათი უფროსი შვილი.
- ნუცა, ამათი უმცროსი შვილი.
- ელენე, სააგარაკოდ მოსული ახალგაზდა ქალი.
- ელიზბარი, სააგარაკოდ ახალგაზდა კაცი.
- ეკიმი.
- ძიძა.

მოქმედება სწარმოებს სოფელში.

მოქმედება პირველი.

სალამო ქამია. სასადილო ოთახის ღია ფანჯრიდან ძლივს მოსჩანს ჩამავალი მზის შუქი.

ფარდის ახდის დროს კედლის საათი რვაჯერ ჩამოჰკრავს. ივანე და მარინე გაჩუმებული სხედან. ივანე მარჯვენა მხარესა ზის, მაგიდაზე ხელებ-დაყრდნობილი, მარინე კი—სასადილო მაგიდასთან, ადუღებული სამოვარის წინ.

ივანე. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) რაღას გაჩემდი? ლამფა მაინც აანთე, დაბნელდა.

მარინე. (ჩუმად ადგება, ლამფას აანთებს და ისევ თავის ადგილას დაჯდება).

ივანე. რომელი საათია?

მარინე. რვა დაჰკრა.

(პაუზა).

ივანე. რანაირად გრძელდება ეს დაწყებული დღეები! ლოდინმა გული გადამიღია. მარინე! მაჩვენე, ერთხელ კიდევ მაჩვენე ეს სევდიანი წერილი.

მარინე. (წერილს ამოიღებს, დაჰხედავს, ათრთოლებულის ხელით ტუჩებთან მიიტანს და აკოცებს) ჩემი ბიჭიკო! (გაუწოდებს ივანეს).

ივანე. ოდესღაც სულ სხვანაირი წერილები მოგვდიოდა: მხიარული, ბედნიერი. სულ სხვა კილოზე იყო დაწერილი ისინი, სულ სხვანაირი გრძნობები იყო ჩაქსოვილი შიგა (წერილს დაჰხედავს). ეხლა რაღათა სტირი, შვილო? რამ დაგირღვია სულის სიმშვიდე? რატომ ძველებურად აღარ ოხუნჯობ შენს წერილებში, რატომ კვლავინდებურად არ იკონებ შენს მხიარულ ბავშვობას?

მარინე. ჩემი ბიჭიკო!

ივანე. (თვალს გადაავლებს წერილს). არც ერთი მხიარული სიტყვა! ასე მგონია სამარიდან მელაპარაკება ვინმეო.

მარინე. (აკანკალებულის ხმით) ივანე!

ივანე. მიზეზი? მიზეზი მაინც ვიცოდეთ! ხან რა მივსწერე, ხან რა ვიფიქრე—იქნება ფული აკლია და თქმას ვერ მიბედავს—მეთქი. ფულიც ბლომად გავუგზავნე. სააგარაკოდ გავისტუმრე. მზათა ვარ ყოველივე სურვილი აფუსრულო, ოღონდ კი მოინდომოს რამე; მაგრამ... (წერილს დაჰხედავს) არც ერთი სურვილი არა სჩანს. მხოლოდ სევდაა, უსაზღვრო, გაუგებარი სევდა.

მარინე. რა სიყვარულით გვიგონებს! ასეთი ნაზი და მოსიყვარულე წერილები არასოდეს არ გამოუგზავნია. ნეტავი რა დარდი გაუჩნდა? დედის გული მძლეთა მძლეა! მოვახერხებდი სევდის გაქარწყლებას, რომ ვიცოდე რა აწუხებს. (ივანეს) იქნება კარგად ვერ შეეკითხე, იქნება ვერ გააგებინე, ჩვენ რა გვაწუხებს?

ივანე. (ფიქრებში გართული) თვალწინ მიდგას უკანასკნელი დღე, დღე გამოთხოვებისა. თვალეები მოჭარბებულის სიხარულით უბრწყინავდა. არავითარი დარდი არ აწუხებდა. იმედიანად უცქეროდა მომავალს. ბედნიერი იყო და იმიტომ.

მარინე. რანაირი გამხიარულება იცოდა! გახსოვს, ამხანაგები სათევზაოდ რომ წაიყვანა? ყველა მე შემომნატროდა, ნეტავი თქვენ, ევთი მხიარული და კარგი შვილი გყავთო. ამხანაგებსაც როგორ უყვარდათ, იმას კი ენაცვალოს დედა! ტყის პირას გაშალეს სუფრა. ახლად დაჭერილი თევზი ხელდახელ ცეცხლზე შესწავს როგორ ვერ





პოდ თავ არჩილ ხიდირბე-
გიშვილი. (მოკლულია)

შტ-კაპ. კარპუზ ანთაძე.
(დაჭრილია)

ჩეოდა ჩემი ბიჭი ყველასაგან, როგორ დაჰქათათებდა ამხანაგებს და ისინიც რა პატივისცემითა და სიყვარულით ექცეოდნენ!

ივანე. ალბად დიდი რამ დარდი აწუხებს!

მარინე. რომ არაფერს იწერება? ნეტავი ვიცოდეთ. მისწერე, ჩამოვიდეს. დეპეშით შეატყობინე. იცრუე, მოატყუე. მისწერე, დედა ავად არის—თქო, კვდება—თქო. ამდენს უნახაობას ველარ ავიტან. არ მინდა იმისი სწავლა, ოღონდ კი ჩქარა ვნახო ჩემი ბიჭიკო, ოღონდ კი დედის დატანჯულმა გულმა ერთხელ კიდევ იგრძნოს სი-ახლოვე საყვარელი შვილისა. (მუდარებით) მისწერე, დეპეშით დაი-ბარე.

ივანე. გიგუცას შვილმა უნდა იცოდეს იმისი ამბავი: დიდი ხა-ნი არ არის, რაც ჩამოვიდა. ამხანაგებრიც არიან. აქ კარგი შეგობრე-ბი იყვნენ და ეხლა კი არ ვიცი, იქნება კიდევ დაშორდნენ ერთ-მანეთს.

მარინე. იმანაც არაფერი იცის. ძალიან დაღონებულია, ამხა-ნაგებს ჩამოშორდაო. ის კი ვიცი, ბევრსა კითხულობსო. ყველა დი-დის პატივისცემით ეპყრობა, მაგრამ მეგობრობით კი აღარავინ და-იმეგობრაო.

ივანე. ვაი ჩემს მოსწრებასა! ჩემი შვილი და უმეგობრო?

(პაუზა).

მარინე. როდემდის უნდა ვიყოთ ამ დღეში?

ივანე. სანამ არ ჩამოვა. (გარედან კისკისი ისმის).

ნუცა. (მხიარულად შემოვარდება) დედა, დედიკო! (დაღონე-ბულ დედ მამას რომ დაინახავს, უცბად შეჩერდება და ჩუმად მაგი-დასთან მივა).

მარინე. რა იყო, შვილო?

ნუცა. არაფერი... მე... ისე.

მარინე. მოდი, შვილო, მოდი ჩემთან ახლო (ნუცა დედასთან მივა. მარინე შუბლზე აკოცებს და თმაზე ხელს გადაუსვამს). როგორ გაოფლიანებულხარ, შვილო! სად იყავი?

ნუცა. ჩვენებიანთას ვიყავი, დედიკო? ვანოს წერა-კითხვას ვას-წავლიდი. იმდენი მაციანა, იმდენი მაციანა! შენ წარმოიდგინე, დედა, ვერას გზით ვერ გამოვათქმევენე „აქლემი“. აბა ჩათვლით წაიკითხე და მერე ერთბაშად მითხარი მეთქი. ვანომაც წაიკითხა: ა-ქ-ლ-ე-მ-ი, ძროხა. ისეთი სიცილი ამიტყდა! ბიჭო, ძროხა როგორ იქნება, აქ-ლ-ემსა კითხულობ—მეთქი. ვერ გავაგებინე!

მარინე. (ღიმილით) რა ვუყოთ, შვილო! გაიზრდება და ისიც კარგად ისწავლის. როდი უნდა დასცინო!

ნუცა. ხომ არ დავცინი, დედა ხომ არ დავცინი! არა, ღმერთ-მანი არ დავცინი. ისე, მეცინება. განა საცინელი არ არის? ა-ქ-ლ-ე-მ-ი, ძროხა (იცინის).

ივანე. იმხიარულე, შვილო, იმხიარულე, სანამ დრო გაქვს, თო-რემ გაივლის ხანი და შენც, ალბად, სევდა შეგაპყრობს. ქვეყანა გა-მოიცვალა: სხვა რამ ადარდებს და ასეველიანებს ეხლა ხალხსა. ვინ მისწვდება მათი სულის მოძრაობის საიდუმლოებას! მახლას! (მარი-ნეს) ლოდინით იმედი გადამიწყდა, მაგრამ მაინც იქ... ის... იმისი ოთახი მოამზადე. ვინ იცის, იქნება ღმერთმა მოწყალებ თვალთ გად-მოგვხედოს. (გაღის).

ნუცა. (ნელ-ნელა დედას უკანიდან მიუახლოვდება, მხრე ხელებს დაადებს. გაუბედავად.) დედა! ვერე დაღონებული რათა ხართ შენა და პამა? რატომ მე არ მეუბნები? თქვენა გგონიათ პა-ტარა ვარ? ტყუილდა გგონიათ. (განსაიარულებულნი) ელენე კი მეუბ-ნება, შენ ეხლა დიდი ქალი ხარ, ყველაფერი უნდა იცოდეთ. ელენე კეკვიანია, იმან ყველაფერი იცის. ერთხელ ბალში მარტო დასეირ-ნობდა, ძალიან ჩაფიქრებული იყო. კოპები ისე შეეკრა, ასე მეგონა ეს არის ეხლავე შუბლი გაუსკდება—მეთქი. მივედი და ვუთხარი, თუ გინდათ გეტყვი, ვიხედავ ფიქრობთ-მეთქი. აბა, შენ საიდან გე-ცოდინება, ჯერ პატარა ხარ, ბავშვიო. მეწყინა. მაშინვე პირში ვა-ხალე, შენ... (დედას ყურში უჩურჩულებს) ფიქრობ-მეთქი. შეეშინდა, გადაფითორდა...

მარინე. (გაოცებული) რა სთქვი, შვილო?

ნუცა. ღმერთმანი! პირდაპირ ვუთხარი, აღარ დავერიდე. ელე-ნეს ჯერ შეეშინდა, მერე გაიცინა და მითხრა, შენთან ხომარობა აღარ შეიძლებაო. მას შემდეგ დამიმეგობრდა. ერთთავად ჩემთან დასეირ-ნობს და ხანდისხან მეთამაშება კიდევ. განა, პატარა რომა ვარ, ვე-რაფერს ვამჩნევ! მაშ, რატომ არ მეუბნები, რათა ხართ დაღონე-ბული? (ცოტა ხნის პაუზის შემდეგ) კიდევ ცუდი წერილი მიიღეთ, განა?

მარინე. (ნუცას გულზე მიიკრავს) ცუდი წერილი მივიღეთ, შვი-ლო. ვფიქრობ და ვერაფერი მომიფიქრია. არც ერთს კითხვაზე სწო-რე პასუხს არ გვაძლევს. გვესაყვარლება და გვეაღერებს—სხვა არა-ფერი. ნეტავი იცოდეს, როგორ იტანჯება დედის გული ამნაირი გა-მოურკვევლობით, ნეტავი იცოდეს, როგორ ჩამოეთუთქა გული იმისმა მწუხარებამ! (ცრელმ-მორეული) მე საცოდავმა არც კი ვიცი საიდან მო-უარო, როგორ მოვიქცე. (ცოტა ხნის პაუზის შემდეგ) სურათი მაინც გამოგვჩვენა. ორჯელა ესთხოვე, სურათი გამომიგზავნე-მეთქი და იმან კი პასუხად რაღაცა მომწერა; ვერც კი გავიგე, შვილო, ისეთი სიტყვებით არის დაწერილი.

ნუცა. რატომ მე არ მაჩვენე, დედა, იქნება მე გამეგო?

მარინე. არ მინდოდა შენც ჩვენი მწუხარების მოზიარედ გა-მეხადე. მაგრამ, თუ გინდა მოგცემ. (წერილს მიაწოდებს) აი, შვილო, წაიკითხე, მეც ყურს დაგივლებ.

ნუცა. (სკამზე ჩამოჯდება, წერილს გადაათვალიერებს და შემ-დეგ ხმა-მაღლა წაიკითხავს ერთს ადგილს)... ადამიანის სახის და, მა-შასალამე, ადამიანის გამოხატულების ნახვაც მხოლოდ მაშინ არის



შტ-კაპ ნიკანდრი გოგიტიძე
(დაჭრილია)

კაპ. ალექ. გოგიტიძე
(დაჭრილია)

საინტერესო, როდესაც იგი სულიერს თვისებას გამოჰხატავს, როდე-საც შინაგან ჰ გარეგნულ სახიერებათა შორის ჰარმონია არსებობს. მაგ-რამ როდესაც ეს ჰარმონია სწყდება, როდესაც გარეგანი სახე შინაგან სულიერ სახის მკრთალ გამოხატულებად იქცევა, მაშინ მას აზრი აღარა აქვს. ჩემო კარგო, ჩემო ტბილო დედა! შენ ანას ვერ გაიგებ. ოჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ამის გაგება რომ შეგეძლოს! (ჩაფიქრ-დება. თავისთვის) „აღარც სახეს, აღარც მის გამოხატულებას აზრი აღარა აქვს“. მესმის, მესმის.

მარინე. მე კი ვერაფერი გავიგე, შვილო!

ნუცა. (სივრცეს გასცქერის) ელენემა სთქვა, სახეს დაუჯერე, იგი არასოდეს არ მოგატყუებსო. (ჩუმად. ჩაფიქრებული) ელენე მარ-თალია. იმან ყველაფერი იცის. დედა-ჩემო! რამდენჯერ მიფიქრია, ნეტავი ეხლა ჩემი ძამია მაჩვენა-მეთქი. მე მეგონია ის ძალიან, ძალი-



პოდპორ. ილარიონ ჯობავა (დაჭრილია)

პრაპორ. იგლიანე ჩახავა (დაჭრილია). (ზალკანეთის ომის დროს, თავისი სურვილით ომობდა ბულგარელების წარებში)

ან ჰკვიანი უნდა იყოს. მე ხომ სულ პატარა ვიყავი, ძამია რომ წავიდა? კარგად მახსოვს, ჩაიკეტავდა ოთახსა და სულ ერთავდა კითხულობდა. ის რომ ბაღში დასეირნობდა, შევიპარებოდი იმის ოთახში და წიგნებს ვათვალიერებდი. ღმერთო ჩემო, რამდენი წიგნი იყო! დედა! ძამია ეხლაც ბევრს წიგნებსა კითხულობს? ელენემ მითხრა, შენი ძმა ძალიან ჰკვიანიაო. დედა! ელენესაც ცუდი წერილები მოსდის ძამიასაგან?

მარინე. (გაოცებული) რაო, შეილო? იმას რაღად უნდა მოუვიდეს წერილები?

ნუცა. როგორ არა! აი შენ რომ ძამიაზე დაგელაპარაკები, უსათუოდ სახე შეგეცვლება და დაღონდები ხოლმე. ცუდი წერილები მოგდის და იმიტომა. ელენესაც რომ დაუფუყებ ლაპარაკს ძამიაზე, იმასაც სახე შეგეცვლება ხოლმე. ალბათ იმასაც ცუდი წერილები მოსდის. ისეთი მეცოდება, დედა, ისეთი მეცოდება! მეცოდება და თან მეშინიან, ელენესი მეშინიან. არ შეიძლება ძამიამ ცუდი წერილები აღარ მოგვეწეროს?

მარინე. მეც ეგ მინდა, შეილო! ოღონდ კი დამიბრუნდეს ჩემი მზიარული, სიცოცხლით სავსე შეილი, ოღონდ კი კვლავ დავინახო იმის ლამაზ თვალებში ნაპერწკალი ბედნიერებისა და დაე თუნდა მაშინვე მიწა გასკდეს და ჩამიტანოს! (გარედან ქალის სიცილი და კაცის აჩქარებული ლაპარაკი ისმის).

ნუცა (წამოხტება) ელენე და ელიზბარი მოდიან!

მარინე. მართლა, შეილო, წელან რა მითხარი? იქნება ელენეს მართლა მოსდის წერილები ვახტანგისაგან?

ნუცა. არ ვიცი. არაფერი უთქვამს. მაგრამ მე მგონია უნდა მოსდიოდეს.

მარინე. (მიუახლოვდება ნუცას) შეილო! თუ რამე შეამჩნიო... (შემოდის ელენე. თეთრი ტილოს ტანისამოსი აცვია, დიდი ჩალის შლიაპა ჰხურავს. ხელში წკებულა უჭირავს. ელენეს ელიზბარი შემოჰყვება. ლამაზი სახაფხულო ტანისამოსი აცვია).

ელენე. (კარებში შეჩერდება) ბოდიშს ვიხდი. მგონია ხშირი მოსვლით გაწუხებთ!

მარინე. (მიეგებება) რასა ბრძანებთ, ელენე! მობრძანდით, ფრიად სასიამოვნო სტუმარი ხართ: ისეთი სიცოცხლე და სიმზიარულე შეგაქვთ ყველგან, რომ არა მგონია ყველას გულწრფელად არ ესიამოვნოს თქვენი მისვლა.

ელენე. (გააცნობს ელიზბარს) გთხოვთ იცნობდეთ! დღიურ ჰირ-ვარამით შეწუხებულს, ადამიანთა ვერაგობით გატანჯულს, თავი გაუნებებია მაცდურ ქალაქისთვის და გადაუწყვეტია წასვლა შორს, შორს, მთებში, ბუნების წიაღში. გადაუწყვეტია და დარდების გასაქარვებლად... ჩვენსკენ წამოსულა. ხა, ხა, ხა! გთხოვთ იცნობდეთ. საზოგადოდ კარგი ყმაწვილია.

ელიზბარი. (ხელს ჩამოართმევს) ბატონო! ელენემ ისეთი კილოთი დამახასიათა, რომ ან ავაზაკად უნდა მიმიღოთ, მატყუარად, ან, უკეთეს შემთხვევაში, სულელად.

მარინე. რასა ბრძანებთ! ელენეს საზოგადოდ ეგეთი დაუცხო-მელი და მოუსვენარი ხასიათი აქვს. დაბრძანდით, ფეხზე რათა სდგებართ?

ნუცა. მე კი დარწმუნებული ვარ, თქვენ არც ავაზაკი ხართ და არც სულელი.

ელიზბარი (ღიმილით) ფრიად სასიამოვნოა, რამ ეგეთი კარგი აზრისა ყოფილხართ ჩემს შესახებ.

ნუცა. მერე, რატომ არა მკითხავთ, რათა ვარ კარგი აზრისა? მე ხომ სრულიად არ გიცნობთ?

ელიზბარი. მეც სწორედ ეგ გამიკვირდა. სულ ორი დღე არ არის, რაც გამიცნო და ერთბაშად მიჰხვდა, რომ არც ავაზაკი ვარ და არც სულელი. სწორედ გულთმისანი ყოფილხართ!

ნუცა. (სერიოზულად) გულთმისნობა აქ მოსატანი არ არის. აი აქ, ჩვენებთან სახლის გვერდით, ერთი მკითხავი დედა-კაცი სცხოვრობს. რამდენჯერმე ვაკითხვინე, მაგრამ ვერაფერი გაიგო. (მზიარულად) გლენებს კი ისე ატყუებს, ისე ატყუებს! „ბალა-ბალა-ბალა“ — ბუტბუტებს რაღაცას. ჩვენს დედა-კაცებსაც დაუტყუებიათ თვალები და სულ „ვი-ვი-ვის“ იძახიან. მკითხაობა და გულთმისნობა სისულელეა. დედაჩემს რომ ისე დაუფუყებ ხოლმე ლაპარაკსა, ჯავრობს. აი ეხლაც, უყურეთ როგორ ეწყინა! ნუ ჯავრობ, დედა, კარგი, ნუ ჯავრობ! (გაეჭანება, კისერზე შემოეხვევა და აკოცებს).

ელიზბარი. ეგ ყველა კარგი, მაგრამ მაინც რათა ხართ დარწმუნებული, რომ ავაზაკი და სულელი არა ვარ?

ნუცა. (ელენეს გადაჰხედავს მოკრძალებით) ელენე ავაზაკებსა და სულელებს არ დაუმეგობრდება. გარდა ამისა, ავაზაკებსა და სულელებს ეგეთი თვალები არ უნდა ჰქონდეთ, თქვენ კარგი თვალები გაქვთ, ძალიან კარგი!

ელენე. ოჰო! როგორც ვხედავ, ნუცა მალე ისეთს რამეს იტყვის, რაც ჩემს რაინდს გააწითლებს.

ელიზბარი. მეც ვგრე მგონია. ჯერ ეხლავე რაღაც უხერხულობა ვიგრძენი.

ელენე. (ელიზბარს) ასე იცის პირდაპირმა და გულმართალმა სიტყვამ. (ნუცას) ჩემო კარგო! მუდამ ეგეთი გულმართალი იყავი. რაც მოგწონს — პირდაპირ მოიწონე, რაც არ მოგწონს — დაურიღებლად აძაგე. ნუ იცრუებ ნურასოდეს შენი საკუთარი თავის წინაშე. (სანამ ელენე ამ სიტყვებს ამბობს, მარინე ცოტა-ხანს მიტრიალდ-მოტრიალდება ოთახში და გავა) უდიდესი დამნაშავეა ის ადამიანი, რომელიც თავის საკუთარ თავის წინაშეც კი სტყუის. (ელიზბარს) მერე, განა ბევრს შეუძლიან ამაყადა სთქვას, არა ვსცრუობ, ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ და ვმოქმედებ ისე, როგორც გულის სიღრმეში დამალული გრძნობები მავალევენო! გინახავთ, შეგხვედრი-ათ ასეთი ადამიანი?

ელიზბარი. შეიძლება მენახოს, შეიძლება არც მენახოს. მერე რა მნიშვნელობა აქვს მაგას? თქვენ ისა სთქვით, ფსიხოლოგიურად შესაძლებელია თუ არა ისეთი მდგომარეობის წარმოდგენა, როდესაც ადამიანი არა სცრუობს სხვასთან თუ არა, თავისი საკუთარი სინი-დისის წინაშე მაინც. ან, არის თუ არა დანაშაულობა ასეთი სიცრუე? თქვენ თითონ, ქალბატონო ელენე, ნუ თუ ყოველთვის იმას ამბობთ, რასაც ფიქრობთ?

ელენე (თვალს თვალში გაუყრის) ყოველთვის!

ელიზბარი. (ცოტა დარცხვენილი) მე კი მგონია...

ელენე. (სიტყვას გააწყვეტინებს) ვიცი, რაცა გგონიათ. მაგრამ ერთი რამეც უნდა იცოდით. შეიძლება ჩემს მოქმედებაში, სიტყვებში, გრძნობებში ბევრი წინააღმდეგობა დაინახოთ, მაგრამ შემცდარი იქნებით, თუ იფიქრებთ, რომ როდისმე ვცრუოდი საკუთარი თავის წინაშე. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ერთსახეობა მოქმედებისა და გრძნობებისა საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია სიცრუისა. მხოლოდ ცრუს შეუძლიან შეინარჩუნოს გაყინული ნიღაბი სახისა და გრძნობისა. გულმართალი ადამიანი ყოველთვის სავესა წინააღმდეგობით და ამ წინააღმდეგობას კიდევ გვაჩვენებს.

ელიზბარი. ვეჭვობ, ასეთი ადამიანი ბევრი გენახოთ.

ელენე. მე ვიცნობდი ასეთს ადამიანს. (გრძნობით) ნათელი და წმინდა იყო მისი გრძნობა, როგორც ახლად მოსული თოვლი. მისი გული დაუშრეტელი წყარო იყო ჯან-სალი, აზრიანი სიცოცხლისა. თვი-

თოვლი ნაკვით მისი სხეულისა განბანილი იყო ისეთს ძლიერსა და გულწრფელ გრძობაში, რომელიც ჩვეულებრივად სასწაულს ახდენს. (ოცნებით) მეც მწამს ძალა მისი გრძობისა. იგი უფრო მძლავრი გაჰხდება, გაღრმავდება თვისი შინაარსით და კვლავ მოგვევლინება ღამაში, პოეზიით სავსე პიროვნება. მოვა და მოახდენს სასწაულს, რომელსაც ამდენი ხანია ელის ჩემი მოუსვენარი სული. სასწაული უნდა მოჰხდეს და იგი კი მხოლოდ იმას შეუძლიან, ვის გულშია ცოდვა არ არის, ვინც მართალია უპირველესად ყოვლისა თვისი საკუთარი თავის წინაშე.

ნუცა მეც მრწამს, სასწაული უნდა მოჰხდეს. მრწამს იმიტომ, რომ შენ ამბობ. მკითხაობა და გულთმისნობა სისულელეა, სასწაული კი მრწამს.

ელენე (ნუცას მოეხვევა) რამდენი ხანია ველი ამ სასწაულს, ჩემო პატარავ! რამდენი ხანია ველი ადამიანს, რომელიც იტყვის იმ სიტყვას, რომლისთვისაც ბუნების სტიქიონმა განმამზადა. ვიცი, იგი იტყვის, იტყვის ჩემთან ერთად. მხოლოდ მას შეუძლიან ამ ტვირთის ზიდვა, რადგანაც იგი გულმართალია, არასოდეს არა სტყუის საკუთარ თავის წინაშე. (ელიზბარს) თქვენა ბრძანებთ, ჩემო რანდო, მინახავს ასეთი ადამიანიო?

ელიზბარი. არა, მე მხოლოდ...

ელენე (სიტყვას გააწყვეტინებს) ნუ გგონიათ, ადვილი იყოს ასეთი ადამიანის გამოძებნა. ადვილია ბრძოლა ცხად მოპირდაპირესთან, ადვილია ბრძოლა ბუნებასთან, ადვილია გარდაქმნა ადამიანთა ურთიერთობისა, მაგრამ ბრძოლა თავის საკუთარ თავთან კი ძნელია. მხოლოდ ჭეშმარიტს გმირს შეუძლიან თავისი თავი დაიმორჩილოს და გონება ნების ყოფის მონად გაჰხადოს. სამაგიეროდ, როდესაც ამ მიზანს მიაღწევს, როდესაც ადამიანი გარდაიქცევა განხორციელებელ ნებისყოფად და ეცოდინება მხოლოდ ორი სიტყვა: „მე მსურს“, მაშინ დადგება დრო სასწაულისა. მეც ველი ამ ადამიანს, ველი სასწაულს.

ელიზბარი. (ლიმლით) მაგნირი ადამიანი ჯერ არ დაბადებულა. მე გგონია არც დაბადება, რადგანაც იგი ნაყოფია მხოლოდ თქვენი ფანტაზიისა.

ელენე. (გრძობით) არა, იგი არსებობს. შორს არის ჩემგან, მაგრამ მაინც არსებობს. ფრთებს ისწორებს არწივი. დამპირდა, ჩემი ცხოვრების გზა გამორკვეულია, საჭიროა მხოლოდ ნებისყოფის გაკავება. მოვა და ჩემთან ერთად გასწევს განახლებული ცხოვრების მძიმე, მაგრამ საპატიო უღელს.

ელიზბარი. (ღრმა მწუხარებით) ელენე! თქვენ გიყვართ ის ადამიანი!

ელენე. დიახ, მიყვარს! იგი ჩემია და სიკვდილამდის ჩემი იქნება. მიყვარს, რადგანაც მან გაიგო საიდუმლო სიცოცხლისა და კიდევ ჰსურს ისარგებლოს ამ სიცოცხლით, როგორც თავისუფალმა ადამიანმა. იგი თავისუფალია თავის საკუთარ თავის წინაშე. მხოლოდ ამისთანა ადამიანს შეუძლიან გაიგოს საიდუმლოება სიცოცხლისა, მისცეს მას სილამაზე და ისარგებლოს მით. დიახ, მიყვარს! გაოცება აღბეჭდილა თქვენს სახეზე, ბატონო ელიზბარ! უფრო მეტად გაოცდებით მაშინ, როდესაც ის მოვა და მოახდენს სასწაულს. (იციანის) გიკვირთ, განა! არც კი იცით, რა სასწაულის მოხდენა შეუძლიან ჩვეულებრივ ადამიანს. ნუ გეშინიანთ! იმისი სასწაული ისეთი იქნება, რომელიც მხოლოდ ჩვენთვის დარჩება სასწაულად.

ელიზბარი. როგორ გიბრწყინავთ თვალები! ასეთს მდგომარეობაში არასოდეს არ მინახვიხართ. ეხლა კი მრწამს, მას შესძლებია სასწაულის მოხდენა, თქვენი ცივი გული...

ელენე. სცდებით, ბატონო ელიზბარ, ძალიანა სცდებით! ჩემი გული ცივია მხოლოდ მაშინ, როდესაც ნიღბ-ჩამოფარებულ ადამიანებსა ვხედავ. საცოდავებსა ჰგონიათ, თითქოს ვერ ვამჩნევ, როგორა სცდილობენ დაჰმალონ ნამდვილი სახე! ფრიალ ხელოვნურად, პედანტიურის წვრილმანობით იცვლიან სახეს, მაგრამ მაინცა ვხედავ მათ მომხამულ გრძობებს, ვხედავ დაავადებულ აზრებს. ზიზღის ღმერთი არიან ასეთი ადამიანები!

ელიზბარი. (მწარე ლიმილი აღებეჭდება სახეზე) ნუ თუ ყველა გეზიზღებათ?

ელენე. (ლიმლით) თქვენს გარდა, ბატონო ელიზბარ! თქვეს შეზიზღება სისასტიკე იქნებოდა. განა ვერა ვხედავ, როგორა ცდილობთ დაჰფაროთ და დამალოთ გრძობა, რომელიც გულს გიფორიაქებთ? თვალები უცნაური სარკეა ადამიანის სულიერი ცხოვრებისა. თქვენი თვალებიც, თქვენდა უნებურად, ამჟღავნებენ გრძობას, რომლის დამალვასაც ასე ძალიანა სცდილობთ.

ელიზბარი. ელენე! თუ ჰხედავთ, თუ ჰგრძობთ, მაშ...

ელენე. დაივიწყეთ! მაგაზე ნულარაფერს ნუ იფიქრებთ. სხვა დროს იქნება შესაძლებელიც ყოფილიყო, მაგრამ ეხლა—არასგზით.

ელიზბარი. რატომ?

ელენე. თქვენ სასწაულს ვერ მოახდენთ. (პაუზა. მარინე შემოდის).

მარინე. ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენს ხანს დავიგვიანე. ხომ მოგეხსენებათ, სახლში ფუსფუსი ბევრს დროს ართმევს ადამიანს. მთელი დღე ტრიალებ, ტრიალებ და საქმე კი მაინც გასაკეთებელი რჩება.

ელიზბარი. თქვენც ნუცა ჩააბით საქმეში.

ნუცა. (გაჯავრებული) მე ჩაბმა არ მინდა. ისეც ჩაბმული ვარ. მე თითონ ჩავები.

ელენე. (ნუცას) ყოველ შემთხვევაში არც ეგრე გაჯავრება ვარაგა. (მარინეს) ბოდიშის მოხდა რა საჭიროა? ჩვენ შინაურად გიახეღით. ცოტა ვებაასეთ და ეხლა კიდევ გამოგმშვიდობებით.

მარინე. როგორ შეიძლება? წავიდეთ აივანზე. სუფრა გაშლილია, ცოტა წავისაუზმოთ. შორს ხომ არა ხართ? გამცილებელიც, მადლობა ღმერთსა, გყავთ.

ელენე. დიდად მადლობას მოგახსენებთ, ვერ შემიძლიან დარჩენა. როდისმე სხვა დროს მოვალ და უფრო დიდხანს დავრჩები. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

მარინე. ხომ იცი, შვილო, ძალიან მესიამოვნება თქვენი დარჩენა, მაგრამ, თუ ვერ შეგიძლიანთ, თქვენი ნებაა.

ელენე. (გამომეშვიდობება) სხვა დროს, სხვა დროს!

ელიზბარი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (ნუცას) ხომ არა ჯავრობთ?

ნუცა (გაჯავრებული) მხოლოდ ბოროტები ჯავრობენ! (ელენე და ელიზბარი გადიან).

მარინე. წავიდეთ, შვილო! (ლამფას ჩააქრობს და გავლენ).

(დიდი პაუზა. ფანჯრიდან მთვარის შუქი შემოდის და ვერცხლის ფერ ზოლად ვარდება იატაკზე. შემოდის ვახტანგი. მკლავზე საზაფხულო პალტო აქვს გადაკიდებული. ფერ-მკრთალია. ოთახში რომ შემოვა, ქუდს მოიხდის და ნელა ოთახს თვალს მოავლებს).

ვახტანგი. არაფერი გამოცვლილა. (მარინე სასადილო ოთახში დაბრუნდება. კარებში ვახტანგს დაინახავს).

მარინე. ვინ არის? ვინა სდვას აქა?

ვახტანგი (აღელვებული) დედა! დედა!

მარინე (შეჰყვირებს) შვილო, ვახტანგ! (გაექანება და გადაეხვევა).

ვახტანგი. (მოეხვევა და ჰკოცნის) დედა! დედიკო!

ვ ა რ დ ა.

(შემდეგი იქნება).

გარდელი.

